



MDF-ის მედიის საბრძანო გზამკვლევი

საბრძანო WATCHDOG-ი

რას ვაკვირდებით არჩევნებზე?

საარჩევნო კამპანიისა და პროცესის გაშუქებისას, მედიაში, როგორც Watchdog-მა, ანუ საზოგადოებრივმა მოდარაჯემ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე შეიძლება გაამახვილოს ყურადღება:

ამომრჩევლის უფლებები

- ✓ არის თუ არა ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა მოქალაქე დარეგისტრირებული ამომრჩეველთა სიაში?
- ✓ აქვს თუ არა ყველა ამომრჩეველს პარტიების საარჩევნო თემების შესახებ ინფორმაციის მიღების და მათი განხილვის შესაძლებლობა შიშისა და დაბრკოლებების გარეშე?
- ✓ ცდილობენ თუ არა პარტიები ამომრჩევლის მოსყიდვას ფულის, სოლიდური საჩუქრების ან სამუშაო ადგილების დაპირებების გზით?
- ✓ ესმით თუ არა ამომრჩევლებს ხმის მიცემის მნიშვნელობა და მათი როლი ამ პროცესში და იციან თუ არა მათ თავიანთი არჩევანის შესახებ?
- ✓ აქვთ თუ არა ქალებსა და უმცირესობებს ხმის მიცემის შესაძლებლობა?

კანდიდატების და პარტიების უფლებები

- ✓ აქვს თუ არა ყველა უფლებამოსილ კანდიდატსა და სუბიექტს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა?
- ✓ აქვთ თუ არა კანდიდატებს, რომლებიც წარმოადგენენ უმცირესობებს, რეგიონებსა და განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს, არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა?

- ✓ აქვს თუ არა ყველა პარტიას შესაძლებლობა უსაფრთხოდ ჩაატაროს საჯარო შეხვედრები?
- ✓ რამდენად ერთგვაროვნად ხდება საარჩევნო რეგულაციებისა და შეზღუდვების გამოყენება ყველა პარტიის მიმართ და აქვს თუ არა ადგილი შერჩევით მიდგომას?
- ✓ თანაბრად უზრუნველყოფს თუ არა პოლიცია ყველა პარტიის დაცვას მათ მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოების, ინფორმაციის გავრცელებისა და საჯარო შეხვედრების ჩატარებისას?
- ✓ ხარჯავენ თუ არა ძლიერი ინტერესთა ჯგუფები დიდი ოდენობის თანხას ერთი კონკრეტული პარტიის მხარდასაჭერად? რამდენად იჩენენ პარტიები მზაობას, საჯარო გახადონ მათი დაფინანსების წყარო?
- ✓ არიან თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლები ნეიტრალურები და იყენებენ თუ არა ადმინისტრაციულ რესურსს ერთი პარტიის მხარდასაჭერად?
- ✓ ახდენს თუ არა მმართველი პოლიტიკური პარტია ახალი პროექტების ინიცირებას სწორედ საარჩევნო კამპანიის დაწყებისას?

საარჩევნო პროცესი

- ✓ სრულყოფილია თუ არა ამომრჩეველთა სია?
- ✓ აქვთ თუ არა სიის მიღმა დარჩენილებს, დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ სიაში ჩაწერის შესაძლებლობა?
- ✓ აქვს თუ არა მხედველობადაქვეითებულ ამომრჩეველს ბიულეტენების გაგების შესაძლებლობა?
- ✓ არის თუ არა საკმარისი ბიულეტენი და საარჩევნო ყუთი?
- ✓ რამდენად დაცულია საარჩევნო ყუთები ყალბი ბიულეტენების ჩაყრისგან?



- ✓ აღიქმება თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად?
- ✓ არიან თუ არა ადგილზე საერთაშორისო და დამოუკიდებელი დამკვირვებლები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ არჩევნებს და როგორ აფასებენ ისინი პროცესს?
- ✓ რამდენად სწრაფად რეაგირებს საარჩევნო კომისია პოლიტიკური პარტიის, მედიისა და ამომრჩევლის ინფორმაციაზე საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით?
- ✓ ისჯება თუ არა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა?